შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ოქმი N2

2025 წლის 24 ივნისი, ქალაქი ონი

სხდომას ესწრებოდნენ:

სერგი ხიდეშელი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი

მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

ხათუნა ღუღუნიშვილი - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

მარინე რაზმაძე - მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

ია ალიბეგაშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

ლამარა გამყრელიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:

ლევან შერაზადიშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მერის მოადგილე;

თამაზ გოგლიძე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი.

სხდომა მიყავდა:

სერგი ხიდეშელს- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის მერს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, **სერგი ხიდეშელმა,** სხდომის მონაწილეებს, მისალმების შემდეგ, გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მათ შორის სხვადასხვა მოდელის სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში, ბავშვთა ინკლუზიური განათლების მიმართლებით გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებელი მზია გუგეშაშვილი- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორი;

2.ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლისა და კვლევის შედეგზე დაყრდნობით, ახალი ოჯახების მატერიალური და არამატერიალური მიმართულებით პროგრამებისა და პროექტების შემუშავების მდგომარეობა 2025 წლის განვლილ პერიოდში

მომხსენებელი - თამარ ლობჯანიძე- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის განყოფილების უფროსი;

3.მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურების ხელმძღვანელების ინფორმაციების მოსმენა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთათვის ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობა, არსებული კანონმდებლობის მოთოვნათა შესაბამისად

მომხსენებლები- გია ბენდიანიშვილი -სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლერი მღებრიშვილი - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი;

4 „.ონის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ და „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის პროგრამის მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, 2025 წლის პირველ ნახევარში არსებული მდგომარეობის შესახებ

მომხსენებელი - მარინე რაზმაძე - მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი;

5. მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2025 წლის 26 მარტის სხდომაზე მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

მომხსენებელი- ლამარა გამყრელიძე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მათ შორის სხვადასხვა მოდელის სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში, ბავშვთა ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ,

მომხსენებელი - მზია გუგეშაშვილი- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორი, აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლება საგანმანათლებლო სივრცეში ყველა ბავშვის თანამონაწილეობას ნიშნავს. თითოეულ მათგანს უნდა მიუწვდებოდეს ხელი სკოლამდელ განათლებაზე, რაც ეხმარება და განაპირობებს მათი უნარების განვითარებას.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის მიზანია, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა, მათი უფლებების დაცვა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესწავლა. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ყველა აქტივობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში იგეგმებოდეს ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით და ჩართულობით, ვითვალისწინებდეთ მათი ინტერესის სფეროებს.

საბავშვო ბაგა-ბაღში წარმატებით საქმიანობს მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან ფსიქოლოგი, მეთოდისტი, სპეციალური პედაგოგი და ლოგოპედი, აღმზრდელებთან თანამშრომლობის პროცესში, წამყვანი ადგილი უჭირავს, თუ როგორ უნდა მართონ თამაში, როგორ უნდა ახდენდნენ ბავშვზე დაკვირვებას, სწორად ახდენდნენ ბავშვის შეფასებას და მასზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ინდივიდუალური გრძელვადიანი გეგმის მომზადებას და ა. შ.

საიმისოდ, რომ მუნიციპალიტეტში მიგვეღწია სრული ინკლუზია სკოლმდელ განათლებაში, შეიქმნა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ცენტრები. 2024-2025 სასწავლო წელს ამოქმედდა სოფელი ცხმორის ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული ცენტრი-2 აღსაზრდელზე, სოფელ წედისში -1აღსაზრდელზე, სოფელ ჯინჭვისში - 2 აღსაზრდელზე. სოფელ სევაში -2 აღსაზრდელზე. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს სოფელ ღების, ჭიორის და უწერის ცენტრები. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან მულტიდისციპლინური გუნდის პროფესიული თანამშრომლობა, მნიშვნელოვან შედეგს იძლევა ადრეული ჩარევის სწორად დაგეგმვის მეშვეობით.

მიმდინარე სასწავლო წელს, ბავშვზე დაკვირვებების გზით, 7 საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელი გამოვლინდა, მათ შორის 1 სოფელ წედისში, 2 სოფელ ცხმორში, 4 ონის ბაგა-ბაღში.

სოფელ წედისის აღმზრდელი ცდილობს აღსაზრდელს განუვითაროს ასაკის შესაბამისად მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები, თამაშ-თამაშით ეტაპობრივად, განავითაროს აღსაზრდელი, ყველა სფეროს მიმართულებით, რისთვისაც იყენებს სათამაშოებს, თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალებს, ბუნებრივ რესურსს. შედარებით მეტ მუშაობას საჭიროებს ამ მიმართულებით, სოფელ ცხმორის აღმზრდელი, იქედან გამომდინარე, რომ ცენტრში ჩარიცხული ბავშვები, ხშირად იმყოფებიან სოფელ ჟაშქვაში, ბებიასთან და

ბაბუასთან მშობლების სურვილით, აღმზრდელი სისტემატურად ვერ ატარებს საჭირო აქტივობებს. თუმცა, გასულ წელთან შედარებით, ბავშვთა განვითარების მიმართულებით, იგრძნობა გარკვეული უნარების განვითარება. მაგალითად, როგორიცაა ნატიფი მოტორული უნარები, სოციალური უნარები.

ონის ბაგა-ბაღში ჩარიცხულ სსმ ბავშვებს ესაჭიროებათ ენისა და მეტყველების უნარების განსავითარებლად აქტივობების დაგეგმვა, რასაც წარმატებით ახორციელებს ლოგოპედი.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ბაგა-ბაღის პედაგოგიურ პერსონალს და ყველა დასაქმებულ პირს, ყოველწლიურად უტარდება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ტრენინგები, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ რეჟიმში. მიმდინარე წლის აპრილის თვეში ნეირობალანსირების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თანამშრომლებისთვის და მშობლებისთვის. 23-24 ივნისს ჩატარდა ბაგა-ბაღში მაკ ჯორჯიას ტრენინგი თემაზე: „ ბავშვის განვითარება ადრეულ ასაკში, თანამედროვე კურიკულუმი „თამაში".

მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სოფელ გლოლის საბავშვო ბაღში იმყოფებოდა ჰასპის სახელმწიფო აუდიტი, რომელიც მონიტორინგს განაახლებს 2025 წლის 15 სექტემბრისთვის, აქედან გამომდინარე, უმოკლეს ვადებში გადაუდებლად აუცილებელია ჩატარდეს კაპიტალური რემონტი სოფელ გლოლის საბავშვო ბაღში.

სწორი გადაწყვეტილების მისაღებად სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი და ლოგოპედი თანამშრომლობენ აღმზრდელებთან ერთად, ბუნებრივ სააღმზრდელო გარემოში, ჯგუფში და არა ,,განცალკევებით სპეციალურ ადგილას". ინკლუზიაში გვეხმარება, თვეში ერთხელ დაგეგმილი შეხვედრები ბაგა-ბაღში, ყველა ტიპის სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებთან, სადაც იხილება თითოეული ბავშვის შეფასების შედეგები და აქედან გამომდინარე, ხდება საჭიროებების დაზუსტება, დრძელვადიან გეგმებში ცვილებების შეტანის აუცილებლობა და სხვა. ურთიერთგამოცდილების ეს ფორმა მომავალშიც გაგრძელდება.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს 1:

1.ლამარა გამყრელიძემ - მერიის განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსხურის განათლების მიმართულებით უფროსი სპეციალისტი, რომელიც აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია პირობები, საიმისოდ, რომ ბავშვთა ინკლუზიურ განათლებას სათანადო ყურადღება ექცეოდეს, რასაც განაპირობებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სხვადასხვა ფორმით ინკუზიის მიმართულებით მომსახურებით უზრუნველყოფა. მაგალითად, ის, რომ მიღწეულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ბავშვისათვის, სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრების დაფუძნების გზით, სკოლამდელი განათლების სახელმწოფო საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება, ასევე ბაგა-ბაღში სპეციალისტებისაგან შექმნილია და ფუნქციონირებს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც, როგორც საბავშვო ბაგა-ბაღში, ასევე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ალტერნატიულ ცენტრებში ამ მიმართულებით ანხორციელებენ საქმიანობას, ეს ნამდვილადაა საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც სამომავლოდ კვლავ გაგრძელდება.

2.მანანა ჩაგელიშვილმა- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის

უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა, რომელმაც თქვა, რომ უახლოეს პერიოდში, უკვე უნდა გვქონდეს დეტალური მონაცემები, თუ რომელ სოფელში გააგრძელებს მუშაობას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ალტერნატიული ცენტრები და დაზუსტდეს, რომელი სოფლის დასახლებაში დაგვჭირდება ახალი ალტერნატიული ცენტრების გახსნა. უნდა დაჩქარდეს ავტორიზაციისთვის სოფელ გლოლის საბავშვო ბაღის მომზადება. ჩვენს მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს, აღვწერეთ ყველა ის პრობლემა, რომელიც გამოკვეთილია და რისი გამოსწორებაც უნდა მოხდეს მიმდინარე წელს. კერძოდ, გადაუდებლად საჭიროა ბაღის კაპიტალური რემონტი, ეზოს სივრცის მოწყობა ისე, როგორც ამას სახელწიფო სტანდარტი მოითხოვს და სხვა.

კარგი იქნება სექტემბრამდე, თუ მოხდება კადრების განსაზღრა ახალ სკოლამდელ დაწესებულებებში და მათი ჩართვა უკვე დაგეგმილ გადამზადების პროგრამაში, რომელიც უნდა გაიმართოს 17 ივლისიდან 26 ივლისის ჩათლით, ეს არის 66 საათიანი ტრენინგმოდული, ბაღების გახსნის დროს, რომ უკვე გვყავდეს სერთიფიცირებული სპეციალისტები.

3.მზია გუგეშაშვილი - ა(ა)იპ ონის ბაგა-ბაღის დირექტორი, აღნიშნავს, რომ გლოლის ბაღი საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. აქ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ შენობა აკმაყოფილებდეს ჰასპის, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს. შენობის დიდი ნაწილი დაობებულია, რაც ბავშვთა ჯანმრთელობისთვის საშიშია. ასევე, კეთილმოწყობას საჭიროებს ბაღის გარე სივრცე.

4.სერგი ხიდეშელი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი და ღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს, დადებითად უნდა გადაიჭრას სოფელ გლოლის საბავშვო ბაღის რემონტის საკითხი. უნდა გამოვძებნოთ შესაბამისი თანხები სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად. მანამდე, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა, უნდა შეისწავლოს ადგილზე ვითარება, მოამზადოს შესაბამისი ხარჯაღრიცხვა, რომ საჭირო თანხა მოვხსნათ სხვა პროეტებიდან. გლოლის ბაღის რემონტი ჩვენ უნდა გადავიტანოთ პრიორიტეტებში. მიმდინარე წელს ეს საკითხი უნდა გადავჭრათ დადებითად.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, დამატებით ვილაპარაკოთ, თქვა მან. პანდუსამდე მისასვლელი გზა რომ დასრულდეს, არ არის დიდი სამუშაო შესასრულებელი და დავალებაა, რომ ეს სამუშაო დასრულდეს ბაგა-ბაღის შემოღობვის სამუშაოების პარალელურად. ბაგა-ბაღის ეზოს შემოღობვის პროექტი დასრულებულია, ველოდებით რეგიონული სამინისტროს მიერ თანხის გამოყოფას, როგორც კი თანხა გამოიყოფა სამუშაოებიც დაიწყება.

რაც შეხება ახალი სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კადრების შერჩევის საკითხს, დავალებაა უკვე ხვალისთვის, ხუთ საათზე შევხვდეთ, წარმოადგინეთ სავარაუდო კადრები და განვიხილოთ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 1:

1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის სამსხურმა, 2025-2026 სასწავლო წლისათვის შეისწავლოს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების მიხედვით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ალტერნატიული ცენტრების გახსნის საჭიროება და წარმოადგინოს დასკვნა 2025 წლის 1 აგვისტომდე;

2. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა, შეისწავლოს სოფელ გლოლის საბავშო ბაღის საწემონტო სამუშაოების მოცულობა და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს გაანგარიშებული ხარჯთაღრიცხვა. მანვე, კონტროლზე აიყვანოს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს შემოღობვის სამუშაოებისათვის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და ამ სამუშაოების შესრულების პროცესში, განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს პანდუსამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობა;

3. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა, მიმდინრე წლის 25 ივნისს, საკითხთან დაკავშირებით შემხეობაში მყოფ პირებთან ერთად, წარმოადგინოს განსახილველად სოფელ ღარისა და ქალაქ ონის ახალ ბაღებში დასასაქმებელი აღმზრდელების კანდიდატურების სია და მათი შერჩევის შემდეგ, ჩართას ისინი 66 საათიანი ტრენინგმოდულის მიხედვით გადამზადებაში, რომელიც უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის 17 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 2.

ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლისა და კვლევის შედეგზე დაყრდნობით, ახალი ოჯახების მატერიალური და არამატერიალური მიმართულებით პროგრამებისა და პროექტების შემუშავების მდგომარეობა 2025 წლის განვლილ პერიოდში

მომხსენებელი - თამარ ლობჯანიძე- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის განყოფილების უფროსი

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის სამსახური, თქვა მომხესენებელმა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობის საფუძვლიან შესწავლასა და კვლევაში, ხელმძღვანელობს შესაბამისი დებულებით, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სისტემა. განყოფილების მიზანს წარმოადგენს, ზიანის რისკის თავიდან აცილება ან, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში, მისი ეფექტიანად მართვა.. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ზიანის რისკი არის, ინდივიადუალური ბავშვისათვის მოსალოდნელი ის უარყოფითი შედეგები, რომელიც დადგება, თუ არ განხორციელდება მხარდაჭერის ღონისძიებები ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარეა, რომ სკრინინგის პროცესში მოვახდინოთ ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასება და რაც შეიძლება ამომწურავი ინფორმაციის მოგროვება, მათ შორის ბავშვის განვითარების მახასიათებლებზე და თავისებურებებზე.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარადაჭერის განყოფილება აგრძელებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლას და შესაბამისად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-18 წლამდე სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახების ერთიანი ბაზის სრულყოფას. მიმდინარე წელსაც, შემოსული შეტყობინებების საფუძველზე, ეტაპობრივად ვახდენთ ადგილებზე მისვლით, ზიანის რისკის შეფასებასა და სკრინინგის ფორმების შევსებას. დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ ბაზაში

დაფიქსირებულია 81 ოჯახი, აქედან „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ პროგრამის თანახმად, დღემდე დახმარება გაეწია 45 ბავშვიან ოჯახს პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიხედვით (300 და 500 ლარი), 2025 წლის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში 10 ოჯახის შესწავლა მოხდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის შეფასება. დეტალურად ვსწავლობთ თითოეული ოჯახის შესაძლებლობებსა და ბავშვთა საჭიროებებს. გამოვლენილია თითოეულ ოჯახში სხვადასხვა საჭიროებები. განსაკუთღებული ყურადღება მინდა მივაპყრო იმ გარემოებას, რომ ოჯახების უმრავლესობას უჭირს ბავშვების სრულფასოვანი გამოკვება ისეთი აუცილებელი პროდუქტებით, რაც საჭირო და აუცილებელია ბავშვისა და მოზარდის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. სკრინინგის დროს ისიც გამოიკვეთა, რომ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები განიცდიან სანჰიგიენური საშუალებების უკმარისობასაც. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მომავალი 2026 წლისთვის მომზადდეს ქვეპროგრამები, სადაც განისაზღვრება საჭირო საკვები პროდუქტებისა და სან-ჰიგიენური საშუალებების შეძენაში დავეხმაროთ ისეთ ბავშვიან ოჯახებს, რომლებიც არიან მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში. ქვეპროგრამის მომზადებამდე, დეტალურად შევისწავლით მუნიციპალიტეტში მცხოვრები ასეთი ოჯახების მთლიან რაოდენობას, მოვახდენთ ამ მიმართულებით, თითოეული ბავშვის საჭიროებების დადგენას და მათთვის დახმარების გაწევას, გამოვლენილი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით და ასეთი ოჯახების კრიზისის შემცირებას. ვფიქრობთ, ქვეპროგრამა მიემართებოდეს ისეთ ოჯახებზე, სადაც ცხოვრობს შშმ ბავშვი/ბავშვები, სამი ან მეტი ბავშვი, ხელოვნური კვების საჭიროების მქონე ბავშვი, ერთი წლის ასაკის ჩათვლით, სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები და სხვა.

მნიშვნელოვანია, ასეთი მომსახურება განვახორციელოთ ვაუჩერული დაფინანსებით და ყოველთვიურად, წინასწარ დადენილი გასაწევი ხარჯით და არა ერთჯერადად, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი შემწეობა მიზნობრივად იხარჯებოდეს იმ მიმართულებით, რისთვისაც დამტკიცდება ქვეპროგრამა, ე.ი. ბავშვის კვებისა და სანჰიგიენური საშუალებების შესაძენად.

აზრი გამოთქვეს 2:

სერგი ხიდეშელმა - მუნიციპალიტეტის მერმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც დაინტერესდა, ასეთი საჭიროებების მქონე ოჯახების ზუსტი რაოდენობით. მან მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტში ქვეპროგრამის შემუშავებას, და თქვა, რომ ეს აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშების კვების გაუმჯობესებას და

სანიტარული საშუალებებით, სისუფთავის უზრუნველყოფას და დაავალა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, აქედანვე დაიწყოს ქვეპროგრამაზე მუშაობა.

საჭიროა უახლოეს პერიოდში მომზადდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ყველა ბავშვის გადაუდებელი საჭიროებების თაობაზე, ინფორმაცია. ყველა საჭიროება განიხილება და მხარდაჭერილი იქნება მერიის მხრიდან.

დაადგინეს 2 :

1.მიღებული იქნას ცნობად ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელის ინფორმაცია - „ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლისა და კვლევის შედეგზე დაყრდნობით, ახალი ოჯახების მატერიალური და არამატერიალური მიმართულებით პროგრამებისა და პროექტების შემუშავების მდგომარეობა 2025 წლის განვლილ პერიოდში";

2. დაევალოს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის განყოფილებას, აქედანვე დაიწყოს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დეტალური აღრიცხვა, შემდგომში, ბავშვთა სრულფასოვენი კვებითა და სანიტარულ- ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით, 2026 წლისთვის, ქვეპროგრამის მოსამზადებლად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 3. :

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურების ხელმძღვანელების ინფორმაციების მოსმენა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთათვის ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობა, არსებული კანონმდებლობის მოთოვნათა შესაბამისად

მომხსენებლები - გია ბენდიანიშვილი -სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლერი მღებრიშვილი - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი,

მომხსენებლები - გია ბენდიანიშვილი -სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი და **ლერი მღებრიშვილი** - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, აღნიშნავენ, რომ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის, ასევე ზედამხედველობის სამსახური, თავის მუშაობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს მთავრობის დადგენილებებით. მისაწვდომობასთან დაკავშირებით, მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს „ტექნიკური რეგლამენტი- მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების შესახებ", 2020 წლის 4

დეკემბრის მთავრობის დადგენილება. ასევე, საქართველოს კანონი „საქართველოს სავრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“.

აღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებზე წარმოებული სამუშაოების შესრულების დროს, რა მიმართულებით უნდა აწარმოებდეს ზედამხედველობის სამსახური მონიტორინგს, რათა ბოლომდე შევძლოთ ამ ნაგებობების შშმ პირებისთვის მისაწვდომობის სრულად დაცვა. ასე მაგალითად: საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის „მუხლი 78 შენობა-ნაგებობების მიმართ ძირითად მოთხოვნებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგულაციები და სტანდარტები და მუხლი 85. შეზღუდული შესაძლებების მქონე პირთათვის შენობა-ნაგებობებისა და საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების უზრუნველყოფა-აღნიშნულია. რომ შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ დაცული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები, მათ შორის არამარტო შენობა-ნაგებობებზე, არამედ ამ შენობა-ნაგებობებისთვის მიკუთნებულ მიწის ნაკვეთებზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცეებზე, როგორიცაა პარკი, ბაღი, სკვერი, ქუჩა, ტროტუარი და სხვა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში - „ტექნიკური რეგლამენტი - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, სწორედ შენობა-ნაგებობების სივრცეების მისაწვდომობის სტანდარტებია განსაზღვრული, კერძოდ ეტლით მოსარგებელთათვის, ასევე უსინათლოებისთვის და სხვა. აღნიშნულ დოკუმენტში, ზომებშია წარმოდგენილი თითოეული სივრცის მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ შეუფერხებელი მანევრირებისათვის, მითითებულია სვლაგეზების მოწყობის სტანდარტები და ა. შ. ამ და სხვა დადგენილებების მოთხოვნათა შესასრულებლად ვახორციელებთ ზედამხედველობას, ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი მშენებლობებისა და ძველი შენობა-ნაგებობების, როგორც პროექტირების, ასევე პროექტების განხორციელების პროცესში.

2024 წელს და 2025 წლის განვლილ პერიოდში აშენდა 3 ახალი შენობა-ნაგებობა, ესენია ონის აგრარული ბაზარი, ქ. ონში ახალი საბავშვო ბაღი და სოფელ ღარში ახალი საბავშვო ბაღი. აღნიშნული შენობა-ნაგებობების პროექტებში სრულადაა გათვალისწინებული მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნები. მაგალითად: აგრარული ბაზრის შენობაში მოწყობილია პანდუსები, ლიფტი და სველი წერტილები შშმ პირთათვის. ორივე ბაღის შენობაში მოწყობილია პანდუსები, სველი წერტილები და სვლაგეზის მაჩვენებელი ნიშნები შშმ პირთათვის.

2024 წელს და 2025 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა შეუბნის ადმინისტრაციულ შენობას, სადაც პროექტის განხორციელებამდე, არ იყო გათვალისწინებული მისაწვდომობის სტანდარტი, რეკონსტრუქციის შემდეგ, აღნიშნულ შენობაში მოეწყო პანდუსი და სველი წერტილი შშმ პირთათვის.

ჩვენი სამსახურის მუდმივი ყურადღების ცენტრშია არა მარტო შენობა-ნაგებობების ზედამხედველობა, არამედ, სკვერების , რეკრიაციული ადგილების, სპორტული მოედნების სრული ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

განვლილ საანგარიშო პერიოდში აშენდა და მოწყო შშმ პირებისათვის ადაპტირებული რეკრიაციული სივრცე ბეერ -შევას სახელობის პარკში.

ჩვენი სამსახური კვლავ გააგრძელებს ამ მიმართულებით ზედამხედველობას. განსაკუთრებით დავინტერესდებით კერძო სასტუმრო სახლების რეკონსტრუქციითა და ახალი სასტუმროების მშენებლობების მისაწვდომობით და შევეცდებით კერძო მესაკუთრეებთანაც გვქონდეს მეგობრული და საქმიანი კომუნიკაცია, რაც როგორც შშმ პირებისთვის, ასევე თვითონ სასტუმროების მეპატრონეებისთვის, ძალზე მომგებიანი რჩევები იქნება.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს 3.:

1.**სერგი ხიდეშელმა** - რომელმაც სამსახურების ხელმძღვანელების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ პროექტების შესყიდვის დროს, მუდმივად მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება იმას, თუ რამდენადაა გათვალისწინებული თითოეულ პროექტში მთავრობის დადგენილებების მოთხოვნები, მისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომ მშენებლობის მიდინარეობის ან და შენობის ჩაბარების დროს არ გახდეს საჭირო პროექტში ცვლილების შეტანა და დამატებითი ხარჯის გაწევა, ამასთან დამატებითი დროის გამოყოფის საჭიროება პროექტის ჩაბარებისათვის.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 3:

1. მიღებული იქნას ცნობად მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელების ინფორმაცია, „მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთათვის ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობა, არსებული კანონმდებლობის მოთოვნათა შესაბამისად";
2. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელების ყურადღება მიპყრობილი იქნას საპროექტო სამუშაოების ან/და პროექტების შესყიდვის დროს, ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრად შესრულებაზე, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული შშმ პირთა მიერ შენობა - ნაგებობების სრული მისაწვდომობა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 4. :

„.ონის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის" და

„ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის პროგრამის მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, 2025 წლის პირველ ნახევარში არსებული მდგომარეობის შესახებ

მომხსენებელი - მარინე რაზმაძე, მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი

მომხსენებლმა მარინე რაზმაძემ - მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მოახსენა, რომ ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (შშმ) უფლებრივი მდგომარეობა, თანხვედრაშია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სოციალურ პოლიტიკასთან და უზრუნველყოფს ბავშვების თანაბარი უფლებების რეალიზებას, მხარდაჭერასა და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2025 წლის მონაცემებით, ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 18 წლამდე ასაკის 9 შშმ პირი, მათგან 5 გოგონაა და 4 – ვაჟი. აღნიშნული ბავშვები სარგებლობენ, როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით.

ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, თანაბრად აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პროგრამებით, რაც განისაზღვრება **ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის №17 დადგენილებით – „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის სოციალური დახმარების გაცემის წესის“** დანართის შესაბამისად. შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, ასევე დახმარება ხელმისაწვდომია თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის.

2025 წლის 24 ივნისის მდგომარეობით, განვლილ საანგარიშო პერიოდში, ფინანსური ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა ონში რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ 8 შშმ და 9 სსსმ ბავშვზე, 5200 ლარის ოდენობით შემდეგნაირად:

- 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 6 პირზე, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა, 1800 ლარის ოდენობით (თითოეულზე 300 ლარი);

- 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 18 წლამდე შშმ და სსსმ პირ 17 ბავშვზე გაიცა 3400 ლარის ოდენობით თანხა, (თითოეულზე 200 ლარი);

მუნიციპალიტეტი ერთიანდება სახელმწიფო და ადგილობრივ ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განვითარებას. ამ მიზნით ხორციელდება: **„შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა“**, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ითვალისწინებს 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო სერვისების 100%-ით დაფინანსებას (აუტიზმის სპექტრი, დაუნის სინდრომი, განვითარების შეფერხებები, ფსიქიკური ან ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები), წლიურ ლიმიტთან – 1000 ლარამდე თითო ბენეფიციარზე.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის არცერთ შშმ და სსსმ ბავშვს არ უსარგებლია უშუალოდ რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამით, რაც მიუთითებს სერვისზე ხელმისაწვდომობის მიზნით საინფორმაციო მუშაობის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

გვაქვს ახალი ინიციატივა. მაგალითად: ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტმა მოამზადა სამართლებრივი აქტის პროექტი – **„შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამით სარგებლობისთვის, ტრანსპორტით გადაადგილების ხელშეწყობის შესახებ“**, რომელიც ითვალისწინებს ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსებას ონი–ამბროლაური–სადმელის მარშრუტზე, როგორც ბავშვების, ასევე მათი თანმხლები პირებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი გადაგზავნილია ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად. დოკუმენტის მიღებისთანავე, დაწესდება ამ მომსახურების გაწევის მონიტორინგი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ა 4.:

1.სერგი ხიდეშელმა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, მუნიციპალიტეტის მერმა, რომელმაც თქვა, რომ ახლა მთავარია გადაიხედოს ბავშთა ტრანსპორტირების ხარჯების შესაბამისობა, გასაწევ რეალურ ხარჯებთან, რომელიც უნდა მოხმარდეს ბავშვებისა და მათი თანმხლები პირების გადაყვანას და რომელიც 2026 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს, უნდა იქვეს გათვალისწინებული, რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში ბავშვთა შეუფეხებლად ჩართვის მიზნით.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 4.:

1.მიღებული იქნას ცნობად „ონის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ და „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის პროგრამის მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად 2025 წლის პირველ ნახევარში არსებული მდგომარეობის შესახებ, მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსის ინფორმაცია.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 5. :

მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2025 წლის 26 მარტის სხდომაზე მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

მომხსენებელი - ლამარა გამყრელიძე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი, რომელმაც მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წარუდგინა ინფორმაცია, 2025 წლის მარტის თვეში გამართულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუსავე საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შეეხებოდა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ, თქვა მან, თავისი მუშაობის პრაქტიკაში დანერგა საბჭოს სხდომებზე მიღებული დადგენილებების შესრულების მონიტორინგი, საკონტროლო ბარათების მეშვეობით. საბჭოს სხდომის ოქმის ხელმოწერისთანავე, შესასრულებელი საკითხის თაობაზე, დადგენილების შემსრულებელთან იგზავნება საკონტროლო ბარათი, სადაც აღნიშნულია შესასრულებელი დადგენილების შინაარსი და მისი შესრულების დრო. საკონტროლო ბარათის მეორე და

მნიშვნელოვანი ნაწილია, დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა. დადგენილების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, საკონტროლო ბრათზე აკეთებს მინაწერს, დადგენილების შესრულების თაობაზე და ოპერატიულად უგზავნის საბჭოს.

მიმდინარე წლის მარტის თვის საბჭოს სხდომაზე განხილული საკითხების მიხედვით, კონტროლზე იქნა აყვანილი სულ, სამი დადგენილების ნაწილი.

ასე მაგალითად: საკონტროლო ბარათი N 1 ავალებდა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორს, მზია გუგეშაშვილს, სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრების ბავშვთა გადმოყვანას, თვეში ერთხელ მაინც, ა(ა)იპ ონის ბაგა-ბაღში და თანატოლებთან ერთად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მათ ჩართვას. მზია გუგეშაშვილმა, საკონტროლო ბარათის მეშვეობით, უკვე აცნობა საბჭოს, რომ შვიდი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ალტერნატიული ცენტრიდან, აღსაზრდელები, აღმზრდელებთან და მათ მშობლებთან ერთად, ბაგა-ბაღში ესწრებიან სასწავლო საგანმანათლებლო პროცესს, განსაკუთრებით სტაბილურად არის ჩართული ამ პროექტში წედისის ალტერნატიული ცენტრის აღმზრდელი. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრების აღმზრდელები, ამ დროს, ხვდებიან ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს და მათგან იღებენ საჭირო რეკომენდაციებს, ადრეული ჩარევის საკითხებზე, აგრეთვე მათთვის საინტერესო მეთოდურ და პედაგოგიურ მიდგომებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაგეგმა, შეფასება, კლურიკულუმის დანერგვა და ა.შ.

ამავე სხდომაზე, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელს დაევალა, კონტროლზე აეყვანა სოფელ წედისში მცხოვრები ნ.მ-ს მშობლისთვის, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე, ბავშვის რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში ჩართვა, ასევე საჭიროების მიხედვით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მსგავსი საჭიროების მქონე ბავშვთა ტრანსპორტირების საკითხის მოგვარება, ამბროლაურის სარეაბილიტაციო ცენტრში.

განყოფილების ხელმძღვანელმა, წერილობით აცნობა საბჭოს, რომ სოფელ წედისში მცხოვრები ნ.მ-ს მშობელმა მ.ქ.-მ დღეის მდგომარეობთ, ვერ წარმოადგინა, ბავშვის რეაბილიტაცია- აბილიტაციის პროგრამაში ჩართვისთვის, შესაბამისი დოკუმენტაცია. თუმცა, მოქალაქე მ. ქ-სთან ერთად დაიგეგმა, 11 ივნისს ბავშვის ექიმთან, სატელეფონო საუბარი, სამედიცინო დიკუმენტაციის გადმოგზავნის შესახებ.

რაც შეეხება ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ და სსსმ ბავშვთა ტრანსპორტირებას, ამბროლაურის სარეაბილიტაციო ცენტრში, განყოფილების ხელმძღვანელმა საბჭოს საკონტროლო ბარათით აცნობა, რომ **ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ და სსსმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების მიზნით, მომზადებულია დადგენილების პროექტი** „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე ბავშვთა (0-დან 18 წლამდე ასაკის) რეაბილიტაცია - აბილიტაციის პროგრამით სარგებლობისთვის (ონი - ამბროლაური - სადმელი მარშუტზე) ტრანსპორტით გადაადგილების ხელშეწყობა"-ის დადგენილების (სამართლებრივი აქტი) პროექტი დასამტკიცებლად გატანილი იქნება საკრებულოს უახლოეს სხდომზე. ამ საკითხის კონტროლი, მისი საბოლოო გადაწყეეტამდე, კვლავ გაგრძელდება.

საკონტროლო ბარათის მიხედვით, საკითხის „0-დან 18 წლამდე ბავშვთა საჭიროებების შესწავლის გზით, მათთვის გადაუდებელი საჭიროებების თაობაზე, ბავშვის უფლებების

დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიშთან“ დაკავშირებით სხდომის დადგენილებით, ორი დღის ვადაში უნდა მომზდებულიყო და გადაგზავნილი ყოფილიყო ინფორმაცია- შეტყობინება იზაბელა ჩიკვილაძის არასრულწლოვან ბავშვებთან დაკავშირებით, სახელმწოფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დახმარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონულ ცენტრში, მათი საჭიროების განსაზღვრისა და შეფასების პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა, საკონტროლო ბარათით გვიპასუხა, რომ წერილი მომზადდა და გადაიგზავნა, დავალების შესაბამისად, 27 მარტს.

საკონტროლო ბარათების მეშვეობით, კვლავ გაგრძელდება საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების მონიტორინგი, რაც მიჩნეული უნდა იქნეს , როგორც კარგი პრაქტიკა, უკუკავშირისთვის.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 5.:

-მიღებული იქნას ცნობად მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2025 წლის 26 მარტის სხდომაზე მიღებული დადგენილებების შესრულების მონიტორინგის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაცია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე: ს. ხიდეშელი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი: ლ. გამყრელიძე